საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის ძე-2 პუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი კანონის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, კანონის პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი !საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -5- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

08-01-08/52
10. 08. 2023
6

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 30.08.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.30.056.016024) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გამოგონების პატენტის გაცემასთან, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდებისა და მომსახურების დასახელების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობა;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 16 მაისს შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს საპატენტო კანონში, რომელიც მიზანიცაა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმების (ვალიდაციის შეთანხმება) ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ვალდებულების შესრულებას. ასევე, საქართველოს საპატენტო კანონის ევროპის საპატენტო კონვენციასთან (EPC), ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან და ასევე, საპატენტო კანონის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან (PLT) შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს საპატენტო კანონში განხორციელებული ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, შეიცვალა სასარგებლო მოდელის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტის სახელი და პატენტის ნაცვლად სასარგებლო მოდელის რეგისტრაციის შემთხვევაში გაიცემა მოწმობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება განიცადა „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონმაც, რომლითაც იგი შესაბამოსობაში მოვიდა საქართველოს საპატენტო კანონის ახალ რეგულაციებთან.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ჰარმონიზაცია საქართველოს საპატენტო კანონთან და „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონის პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, ცვლილება შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში. კერძოდ, სასარგებლო მოდელთან მიმართებაში ტერმინი „დაპატენტება“ იცვლება ტერმინით „რეგისტრაცია“. ამასთან, კანონმდებლობის შესაბამისად, პატენტის გაცემა ხდება მხოლოდ გამოგონებაზე, ხოლო ამ ქვეპუნქტში მითითებული ყველა სხვა ობიექტი ექვემდებარება რეგისტრაციას, შესაბამისად, სხვა ობიექტებთან მიმართებაშიც მიეთითება ტერმინი „რეგისტრაცია“, ხოლო გამოგონებასთან მიმართებით ტერმინი „პატენტის გაცემა“.

კანონპროექტის მე-2 მუხლის თანახმად, კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ზ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ზ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ზ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ზ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არა აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.

გ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) კანონის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია,
რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტის შედის ცვლილება

მუხლი 3. პალატის მიზნები და ფუნქციები

1. პალატის მიზანია, ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერით.

2. პალატის ფუნქციებია:

ა) მეწარმე სუბიექტებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ბ) მეწარმე სუბიექტების პროფესიული განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე სხვა სახის სწავლების, მათ შორის, საზღვარგარეთ, ორგანიზება;

გ) სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის, საზღვარგარეთ, რეზიდენტი ბიზნესსუბიექტების საერთო და ინდივიდუალური ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა რეზიდენტი ბიზნესსუბიექტები პალატის წევრები;

დ) ადგილობრივი საქონლის ექსპორტის ხელშეწყობა;

ე) გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდებისა და მომსახურების დასახელების დაპატენტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობა;

ვ) ადგილობრივი საქონლისა და უცხოური საქონლის გამოფენების მოწყობა, საქმიან წრეთა შეხვედრების ორგანიზება და სხვა ღონისძიებათა გამართვა;

ზ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

თ) მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება;

ი) უცხო ქვეყნის ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის საჭირო მომსახურების გაწევა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

კ) პროდუქციის, მომსახურებისა და საქმიანი ინფორმაციის შესახებ საინფორმაციო სისტემებისა და ბანკების შექმნა;

ლ) მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა ბიზნესგეგმების მომზადებაში;

მ) მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულებაში;

ნ) კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი ქონებრივი დავის მოგვარების ხელშეწყობა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნით;

ო) „ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონით, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტებით და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებითა და პალატის წესდებით განსაზღვრული სხვა ამოცანების შესრულება.

3. პალატა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ახორციელებს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის გავლის შემდეგ ადგილობრივი საქონლისა და უცხოური საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზას და შეფასებას;

ბ) საქართველოში მოქმედი სავაჭრო, საბაჟო და სანავსადგურო წესების შესახებ ინფორმაციის დამოწმებას;

გ) საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოებების დამოწმებას;

დ) საერთო ფორმის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმებას;

ე) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმებას;

ვ) პრეფერენციული წარმოშობის GSP სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმებას;

ზ) (ამოღებულია - 24.12.2015, №149-უ.ს.რ.ს.);

თ) საიდენტიფიკაციო შტრიხკოდის მინიჭებას;

ი) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის შესაბამისად დამცავი ნიშნის (ჰოლოგრამის) გაცემას;

კ) საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების დამადასტურებელი პალატის ნიშნის „წარმოებულია საქართველოში" გაცემას;

ლ) ფორსმაჟორული გარემოებების დამოწმებას.

4. ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.

5. პალატის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გაწეული მომსახურებისათვის დგინდება საფასური. მომსახურების საფასურის ოდენობა და გადახდის წესი, აგრეთვე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან შეთანხმებით დაწესებული მეწარმე სუბიექტისა და მისი გაერთიანებისათვის საწევრო შენატანის დადგენის წესი განისაზღვრება პალატის წესდებით. მომსახურების საფასური და საწევრო შენატანი უნდა იყოს არადისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული.